

მერაბ დობორჯგინიძე²¹⁷

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უფლების დაცვის საშუალებების იურიდიული ძალა:
საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის კრიტიკული ანალიზი

მოკლე აღწერა

ნაშრომი ეხება დე ფაქტო რეჟიმების მეშვეობით დამყარებული ოკუპაციის შემთხვევებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილ უფლების დაცვის საშუალებათა კანონიერ ხასიათს. კვლევა საკვლევ კითხვებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის პერსპექტივიდან იხილავს. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილდება ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებათა ექტსრა-ტერიტორიული მოქმედების საკითხზე, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო საჯარო სამართალში არსებული „არაღიარების ვალდებულების“ ფარგლებსა და სამართლებრივ ბუნებაზე. ნაშრომის მიზნებისთვის ოკუპაციის სამართლიდან მომდინარე ვალდებულებები მხოლოდ არაპირდაპირ განიხილება.

ხსენებული პრინციპების ფონზე, ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: რამდენად შეიძლება ჩაითვალოს დე ფაქტო რეჟიმების მეშვეობით დამყარებული ოკუპაციის შემთხვევებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაფუძნებული ორგანოები, მათი ქმედებები ან/და მათ მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები „კანონიერად“. მეორე მხრივ, ამ საკითხთან ერთგვარად შეპირისპირებულია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლებების დაცვის საკითხი და მათ მიერ ამგვარი ორგანოებით სარგებლობის აუცილებლობა.

კვლევა სხვა წყაროებთან ერთად ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების

სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას. გარკვეულ შემთხვევაში მიმოხილულია ამ გადაწყვეტილებათა სამეცნიერო კრიტიკაც.

Summary

The main concern of the research is the legal validity of Human rights protection remedies available in the occupied territories in case of intermediary occupation, i.e. Via de facto local authorities. The research questions will be reviewed from the perspective of international human rights law and international public law. In this regard, attention will be focused on the one hand, the issue of extra-territorial jurisdiction of international human rights treaties, and the other hand, on the scope and legal nature of the "obligation of non-recognition" in international public law. For research purposes, obligations derived by occupation law will be discussed only in an indirect manner.

Considering the aforementioned principles, the following issues are examined in the article: Whether legal bodies created in the occupied territories in case of intermediary occupation, activities of these bodies, or legal acts adopted by them should be considered legal. On the other hand, the issue of Human right protection of the inhabitants of the occupied territory is compared with the abovementioned matter and the necessity of taking advantage of these legal mechanisms are also analyzed.

In line with other legal sources, the research is based on the relevant case law established by The European Court of Human Rights; The International Court of Justice, and The Court of Justice of the European Union. To a certain extent, critics of those case laws are also reviewed.

შესავალი

²¹⁷ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

ჰააგის რეგულაციების თანახმად, ტერიტორია მიიჩნევა ოკუპირებულად თუ იგი რეალურად არის მტრის შეიარაღებული ძალაუფლების ქვეშ. ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც დამყარებულია ოკუპანტის ძალაუფლება და ოკუპანტს აქვს მისი განხორციელების შესაძლებლობა.²¹⁸ ხსენებული განმარტების თანახმად, ოკუპაციის დადგენისთვის აუცილებელია „კონტროლის“ არსებობა. ამგვარი კონტროლი მყარდება კონკრეტულ ტერიტორიასა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სამოქალაქო მოსახლეობაზე. პირველ რიგში, ეს გულისხმობს საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მტრის სამხედრო შენაერთების ყოფნას გარკვეულ გეოგრაფიულ არეალზე, ამასთან, სამთავრობო ფუნქციების შესრულებასა და ლეგიტიმური მთავრობის განდევნას.²¹⁹ ამ თვალსაზრისით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა რომ „იმისათვის, რომ დადგინდეს არის თუ არა ის სახელმწიფო, რომლის სამხედრო ძალები ინტერვენციის შედეგად იმყოფება მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, „ოკუპანტი ძალა,“ უნდა არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები იმის საჩვენებლად, რომ შემოჭრილი ქვეყნის მიერ ნამდვილად დამყარდა კონტროლი და გამოყენებულ იქნა ძალაუფლება სადაო ტერიტორიებზე. [...] უგანდას მიერ კისინგანის აეროპორტში ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელების აღიარების მიუხედავად, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება რომელიც საშუალებას მისცემს სასამართლოს დაახასიათოს კისანგანის აეროპორტში დისლოცირებული

უგანდელი ჯარების ყოფნა, როგორც „ოკუპაცია“ ჰააგის რეგულაციების მნიშვნელობით.²²⁰ ამასთან, მხედველობაშია მისაღები ფაქტი რომ ოკუპაციის სამართალი არ ვრცელდება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებზე, სიარა ლეონეს სპეციალურმა სასამართლომ ამგვარი კონფლიქტის დროს ოკუპაციის არსებობა მკაცრად გამორიცხა.²²¹ თუმცა, არ არის გამორიცხული რომ არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტმა, საბოლოო ჯამში, შედეგად სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ოკუპაცია გამოიწვიოს. ამ პირობებში ოკუპაცია შეიძლება არ ხორციელდებოდეს ოკუპანტის შეიარაღებული ძალის მიერ და კონტროლი ტერიტორიაზე *de facto* რეჟიმების მეშვეობით დაწესდეს. ასეთ შემთხვევებში ეფექტურ კონტროლს ტერიტორიაზე *de facto* რეჟიმები ახორციელებენ, ხოლო თავად მარიონეტულ ხელისუფლებაზე კონტროლს ოკუპანტი სახელმწიფო. თუკი სახელმწიფო არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტის დროს შეიარაღებულ ჯგუფს სამხედრო ან/და ფინანსურ დახმარებას უწევს, ხელს უწყობს რომ ჩამოყალიბდეს სეპარატისტულ მთავრობად და სხვაგვარად ახორციელებს ასეთ ჯგუფებზე კონტროლს, საქმე შესაძლოა გვეყონდეს *de facto* რეჟიმების მეშვეობით დამყარებულ ოკუპაციასთან (*Intermediary occupation*).²²² მესამე სახელმწიფოს მხრიდან შეიარაღებულ ჯგუფზე ყველა სახის „კონტროლი“ შეიძლება არ იყოს საკმარისი ოკუპაციის დასადასტურებლად. *სასოლი და ბენვენისტი* მხარს ეჭეჭტური კონტროლის ტესტს უჭერენ,²²³ მაშინ როცა *ფერარო* ზოგადი კონტროლის ტესტს ანიჭებს უპირატესობას.²²⁴ ამასთან, კონფლიქტის

²¹⁸ Convention (IV) respecting the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 18 October 1907, Art. 42

²¹⁹ Hostages Trial, supra, n.140, მიითითებულია: ფიფია, ს. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, 2016, 158

²²⁰ Armed Activities on the Territory of the Congo, Congo, the Democratic Republic of the v Uganda, Judgment, Merits, ICJ, para:176-177

²²¹ Dinstein Y. Non-International Armed Conflicts in International Law, Cambridge University Press, 2014, Page: 224

²²² Kalandarishvili-Mueller, N. Occupation and Control in International Humanitarian Law, Routledge, 2021, page: 54

²²³ Sassòli, M. 'The Concept and the Beginning of Occupation', in A. Clapham, P. Gaeta, and M. Sassòli (eds.), The 1949 Geneva Conventions: A Commentary (Oxford: Oxford University Press, 2015) 1390-1419, pa: 140

²²⁴ Ferraro, T. 'Determining the Beginning and End of an Occupation Under International

კლასიფიკაციის მიზნებისთვის დამოუკიდებლად ფასდება სახელმწიფოს კონტროლის ხარისხი შეიარაღებულ ფორმირებებზე.²²⁵

კვლევის მიზანი არ არის კონტროლის რომელიმე ტესტის მხარდაჭერა ან მათი დეტალური განხილვა, მისი მიზანი „ოკუპაციის“ ან/და „ეფექტური კონტროლიდან“ მომდინარე საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების განხილვაა. აღნიშნული ვალდებულებები შეიძლება გამომდინარეობდეს ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლიდან, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო საჯარო სამართლიდან. ამასთან, კვლევის საგანი არის ამგვარი ვალდებულებების როგორც ადრესატ(ებ)ი, აგრეთვე - ფარგლები. ამ თვალსაზრისით, დღეს არსებული ზოგიერთი რელევანტური სიტუაცია - *დნესტრისპირეთი, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და ა.შ.* - საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომის პირველ ნაწილში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლიდან მომდინარე ვალდებულებების საკითხი განიხილება. ამასთან, ყურადღება მიექცევა აუცილებელია თუ არა ამგვარი პასუხისმგებლობის წამოჭრისთვის „ოკუპაციის“ არსებობა, იყენებენ თუ არა საერთოდ ამ ტერმინს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებზე იურისდიქციის მქონე სასამართლოები, ამასთან, სახელმწიფოს მიერ დე ფაქტო რეჟიმების კონტროლის რა სახეები გამოიყოფა, რა მნიშვნელობა აქვთ მათ და უთანაბრდებიან თუ არა ისინი „ოკუპაციის“ ცნებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გაგებით.

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების ექსტრა ტერიტორიული მოქმედება, ოკუპაცია და ეფექტური კონტროლი

საერთაშორისო საჯარო სამართლის გადმოსახედიდან „იურისდიქციის“ ცნება პირველ რიგში ტერიტორიასთან არის დაკავშირებული.²²⁶ *ლოიზიდუს* საქმეში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ერთი გამონაკლისი ტერიტორიული იურისდიქციიდან სახეზეა როდესაც *კანონისმიერი თუ უკანონო სამხედრო მოქმედების* შედეგად ხელშემკვრელი სახელმწიფო *ეფექტიან კონტროლს* ახორციელებს მისი ეროვნული ტერიტორიის გარეთ.²²⁷ ეს მიდგომა სასამართლომ დაადასტურა *ილაშკუს* საქმეზე და აღნიშნა რომ ეს შესაძლებელია მოხდეს ტერიტორიის სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპაციის შემთხვევაში, როდესაც ეს ძალები ეფექტურად აკონტროლებენ შესაბამის ტერიტორიას.²²⁸ აღსანიშნავია რომ „სამხედრო მოქმედების შედეგად ტერიტორიაზე დამყარებული ეფექტური კონტროლი“ ყოველთვის ოკუპაციას არ უდრის. ამასთან, კიდევ ერთი გამონაკლისი ტერიტორიული იურისდიქციის წესიდან ევროსასამართლომ *ლოიზიდუს* საქმეშივე გამოჰყო. სასამართლომ ხაზი გაუსვა რომ არ აქვს მნიშვნელობა ეფექტიანი კონტროლი განახორციელებდა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ პირდაპირ, საკუთარი შეიარაღებული ძალებით, თუ დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით.²²⁹ ევროსასამართლომ *კვიპროსი და თურქეთის* სახელმწიფოთაშორისო დავის ფარგლებში იმსჯელა თუ რა სახის კავშირი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსა და დაქვემდებარებულ ადმინისტრაციას შორის

Humanitarian Law', 885 International Review of the Red Cross (2015) 133-163

²²⁵ Prosecutor v. Mladen Naletilic, IT-98-34-T, International Criminal Tribunal for the former Yugoslavia (ICTY), 31 March 2003,

²²⁶ The Doctrine of Jurisdiction in International Law", RdC, 1964, Vol. 1; Mann, States" and Edition 1995, Vol. 2, pp. 337-343 "Dupuy, Droit International Public, 4th Edition 1998, p. 61; and

Brownlie, Principles of International Law, 5th Edition 1998, pp. 287, 301 and 312-314

²²⁷ Case of Loizidu v. Turkey (Preliminary Objections) (Application no. 15318/89) Judgment, para:62

²²⁸ Case of Ilascu and Others v. Moldova and Russia, (განაცხადი 48787/99), para:312

²²⁹ Loizidu v. Turkey, para:62

იმისათვის რომ დადგენილიყო ეფექტური კონტროლი. კერძოდ, სასამართლო წერდა:

„არ არის აუცილებელი იმის დადგენა ამ ხელშეშეკრულ სახელმწიფოს გააჩნდა თუ არა დეტალური კონტროლი დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის პოლიტიკასა და ქმედებებზე. ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია არსებობს ხელშეშეკრული სახელმწიფოს სამხედრო და სხვაგვარი მხარდაჭერით, გულისხმობს ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მის პოლიტიკასა და ქმედებებზე. [...] ის პასუხს აგებს კონვენციაში არსებული უფლებების ნებისმიერი დარღვევისთვის.“²³⁰

ევროსასამართლო დაქვემდებარებულ ადმინისტრაციაზე მსჯელობისას სახელმწიფოს მხრიდან ასეთ ადმინისტრაციაზე კონტროლის სახეს არ გამოყოფს და შემოაქვს ტერმინი - *effective overall control* ²³¹ ზოგადი ეფექტური კონტროლის სახით. ამ შემთხვევაშიც, კონვენციიდან მომდინარე პასუხისმგებლობა შეიძლება მაშინაც დადგეს, თუ არ დადგინდება დე ფაქტო რეჟიმების მეშვეობით დამყარებული ოკუპაციის შემთხვევა. საინტერესოა თავად სასამართლო როგორ ახდენს ამ ცნებათა განმარტებას და რა სახის სხვაობას ხედავს მათში. ევროსასამართლო იზიარებს შეხედულებას, რომლის თანახმადაც „ტერიტორიაზე, ან მის ნაწილზე სამხედრო ოკუპაცია არსებობს თუკი შემდეგი ელემენტებია სახეზე: „უცხოური სამხედრო ძალების არსებობა, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტიანი კონტროლის განხორციელება მმართველის თანხმობის გარეშე. [...] უცხოური სამხედრო ძალების ფიზიკური არსებობა ოკუპაციის *sine qua non* მოთხოვნა, ოკუპაცია წარმოუდგენელია „მიწაზე ჩექმის“ (*Boots on the Ground*) გარეშე“. ²³² ევროსასამართლო ოკუპაციის განმარტებისას მის კლასიკურ

შემთხვევებზე უფრო შორს არასდროს წასულა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ „სამხედრო ოკუპაცია“ პრეცედენტულ სამართალში პასუხისმგებლობის დამდგენი დამოუკიდებელი გარემოებაა, ევროსასამართლო, კლასიკურ შემთხვევებშიც კი, თავს იკავებს სიტუაციის ოკუპაციის შეფასების ტესტის გამოყენებაზეც კი და ეფექტური კონტროლის დადასტურებით შემოიფარგლება. მაგალითად, ალ სკეინის საქმეში სასამართლომ იმსჯელა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მიერ ერაყის ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლის განხორციელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია საერთაშორისო სამართალში ოკუპაციად არის შეფასებული, ²³³ ევროსასამართლო „ეფექტურ კონტროლზე“ მსჯელობს, როგორც ზოგად კატეგორიაზე. ²³⁴ თუმცა, ისიც აღსანიშნავია რომ სასამართლოს ერაყში ოკუპაციის არსებობა არასდროს გაუხდია სადავოდ. ამ თვალსაზრისით, სასამართლოს მიერ საქმე ჰუმანიტარული სამართლის ტერმინების გამოყენებას ეხება და არა ოკუპაციის არსებობის უარყოფას. „ეფექტური კონტროლისა“ და „ოკუპაციის“, ურთიერთკავშირი სასამართლოს მსჯელობის საგანი *საქართველო - რუსეთის* მეორე სახელმწიფოთაშორისი დავის ფარგლებში გახდა. კერძოდ, ევროსასამართლოს განმარტებით, ტერმინი „ეფექტური კონტროლი“ უფრო ფართოა და ფარავს ისეთ სიტუაციებსაც, რომლებიც შესაძლოა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიზნებისთვის აუცილებლად „ოკუპაციას“ არ წარმოადგენს. ²³⁵ წარსულში კატანისა და სხვების საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ რუსეთი არა მხოლოდ ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა დაქვემდებარებულ ადმინისტრაციაზე (ე.წ. დნესტრისპირეთის მოლდოვას რესპუბლიკაზე), არამედ მასზე გადამწყვეტ ზეგავლენასაც (*decisive influence*) ახდენდა. ²³⁶ ევროსასამართლოს ამ ცნების განმარტება არ

²³⁰ Case of Cyprus v. Turkey (Application no. 25781/94) Judgment, para:76-77

²³¹ Cyprus v. Turkey, 77

²³² Case of Chiragov and Others v. Armenia, (Application no. 13216/05), GC, Para:92

²³³ Benvenisti E, The International Law of Occupation, Second Edition, Oxford University Press, 2012, page:251

²³⁴ Case of Al-Skeini and Others v. The United Kingdom (Application no. 55721/07), para:150

²³⁵ Case of Georgia v. Russia (II) (Application no. 38263/08), para:196

²³⁶ Case of Catan and Others v. Moldova and Russia (Applications nos. 43370/04, 8252/05 and 18454/06), para:122

მოუხდენია. სამეცნიერო წრეებში სასამართლოს მიერ ამ ტერმინის გამოყენებას გამოხმაურება მალევე მოჰყვა. ავტორის განმარტებით, „ზეგავლენის“ სინონიმი კონტროლია, მაშინ როცა „გადამწყვეტი“ „არსებითი“ მნიშვნელობას ატარებს.²³⁷ აღნიშნული კი სხვა არაფერია თუ არა „ეფექტური კონტროლი“ სასოლო და ბენვენისტის გაგებით - ოკუპაციის დადგენისთვის ყველაზე მკაცრი ტესტის ფარგლებშიც კი.

ამ კუთხით, ცხადია, საინტერესოა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაცია. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, *კარიმ ხანმა* აგვისტოს ომის გამოძიების ფარგლებში საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით წინასასამართლო პალატას დაკავების ორდერების გამოცემის შესახებ თხოვნით მიმართა. ამ თვალსაზრისით, სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაციის დასახასიათებლად იგი რუსეთს „ოკუპანტ ძალად“ ხოლო, შესაბამის ტერიტორიას - „ოკუპირებულად“ მოიხსენიებს.²³⁸ მეორე მხრივ, ევროსასამართლომაც დაადასტურა რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონზე ეფექტურ კონტროლს რუსეთის ფედერაცია ახორციელებს. რეგიონების რუსეთის ფედერაციაზე სრული დამოკიდებულება გამოიხატება კონფლიქტამდე და მას შემდეგ, არამხოლოდ ეკონომიკური და ფინანსური, არამედ სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით.²³⁹ ფაქტია, რომ ევროსასამართლო თავს არიდებს ჰუმანიტარული სამართლის ტერმინების გამოყენებას და პასუხისმგებლობის დამდგენი უფრო ზოგადი და პრაგმატული

მექანიზმით ხელმძღვანელობს - ეფექტური კონტროლის ტესტი სწორედ ამას ემსახურება. აღნიშნული ვერ იქნება განპირობებული შეიარაღებულ კონფლიქტებში ჰუმანიტარული სამართლის უპირატესობის შიშის დოქტრინით. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *კედლის საქმეში* დაადასტურა რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არ წყვეტს მოქმედებას.²⁴⁰ *კედლის საქმისგან* განსხვავებით, *შეიარაღებული მოქმედებების საქმეში*²⁴¹ სასამართლომ იმსჯელა არა კონკრეტული ხელშეკრულებების გავრცელებაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არამედ ჩამოაყალიბა უფრო ზოგადი წესი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების“ გამოყენებას შეეხება.²⁴²

ამდენად, როგორც ჩანს, სადავო არ არის, რომ სახელმწიფოს მხრიდან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციისას ან/და მასზე სხვაგვარად ეფექტური კონტროლის განხორციელებისას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები ექსტრა ტერიტორიული საფუძვლით მოქმედებენ. ამ თვალსაზრისით, ევროსასამართლო კონკრეტული სიტუაციის „ოკუპაციად“ შეფასებას თავს არიდებს, და „ეფექტური კონტროლის“ ტესტს იყენებს, რომელიც ბევრად უფრო ფართო ცნებაა. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტზე შესაძლო პასუხისმგებლობა ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება. ამ ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელია, პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლების, ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოებისა

²³⁷ Kalandarishvili-Mueller, N. Occupation and Control in International Humanitarian Law, Routledge, 2021, page: 77

²³⁸ Prosecutor's application pursuant to article 58 for warrants of arrest against Mikhail MINDZAEV, Gamlet GUCHMAZOV and David SANAKOEV", 10 March 2022, ICC-01/15-34-Conf-Exp, ICC-01/15-34-Red, para:26-27

²³⁹ Georgia v. Russia (II), 171-174

²⁴⁰ Advisory Opinion Concerning Legal Consequences of the Construction of a Wall in the

Occupied Palestinian Territory, International Court of Justice (ICJ), 9 July 2004, para:106

²⁴¹ Armed Activities on the Territory of the Congo, Congo, the Democratic Republic of the v Uganda, Judgment, Merits, ICJ, para: 216

²⁴² International Humanitarian Law and International Human Rights Law: Towards a New Merger in International Law. Edited By Roberta Arnold and Noëlle Quéniver Leiden, Boston: Martinus Nijhoff Publishers, 2008. Pp vi, 171

თუ აპარატის არსებობა და მათი ფუნქციონირება. ამასთან, საინტერესოა თუ როგორ ფასდება ამგვარი ორგანოები და მათ მიერ განხორციელებული ქმედებები/გამოცემული აქტები საერთაშორისო-საჯარო სამართლის პერსპექტივიდან.

2. არალიარების ვალდებულების ფარგლები საერთაშორისო საჯარო სამართალში

საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ 41(2)-ე მუხლის მიხედვით,²⁴³ არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა აღიაროს კანონიერად სიტუაცია, რომელიც მე-40 მუხლის თვალსაზრისით, სერიოზული დარღვევის შედეგად ჩამოყალიბდა და არც უნდა შეუწყოს ხელი ამ სიტუაციის შენარჩუნებას. მე-40 მუხლის მიხედვით, სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა.²⁴⁴ ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად, იძულებითი ანექსია ან სახელმწიფოს შექმნა აგრესიის აქტის შედეგად.²⁴⁵ თუმცა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ და საერთაშორისო სამართლის კომისიამ ასევე განავითარა ე.წ. „ნაგულისხმევი აღიარების“ დოქტრინა, რომლითაც აიკრძალა ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკანონო ხელისუფლებასთან ოფიციალურ ურთიერთობებში შესვლა, ოფიციალური შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გაფორმება, დიპლომატიური და საკონსულო მისიების წარმართვა.²⁴⁶ შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოსთვის ეს

ვალდებულება ვრცელდება ორი ძირითადი მიმართულებით (ა) არ მიიჩნიოს იმგვარი სიტუაციები „კანონიერად“, რომელიც შექმნილია საერთაშორისო სამართლის სერიოზული დარღვევით; და (ბ) არ შეუწყოს ხელი ან არ გაუწიოს დახმარება სიტუაციის შენარჩუნებაში. შესაბამისად, საერთაშორისო საჯარო სამართალში არსებობს ვალდებულება არ მიიჩნიონ ტერიტორიის სამხედრო ოკუპირება ან სხვაგვარად დაკავება „კანონიერად“.²⁴⁷ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუას საქმეში* ძალის გამოყენების აკრძალვა ჩვეულებითი სამართლის ნაწილად მიიჩნია,²⁴⁸ ხოლო *კედლის საქმეში* იგივე მსჯელობის ხაზი ძალის გამოყენების შედეგად ან ძალის გამოყენების მუქარით ტერიტორიის მოპოვების არაკანონიერებაზეც გააავრცელა.²⁴⁹ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში ამგვარი ვალდებულების ქონა რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პერსპექტივიდან უნდა შეფასდეს. პირველ რიგში, აღნიშნული საკითხი განიხილება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედების პერსპექტივიდან.

2.1. არალიარების ვალდებულება და ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებათა მოქმედება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ევროკონვენცია უნდა განიმარტოს ვენის 1969 წლის კონვენციით განმტკიცებული წესების მიხედვით.²⁵⁰ ვენის კონვენციის 31-ე მუხლის § 3 (c) ადგენს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საერთაშორისო სამართლის

²⁴³ Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, 42

²⁴⁴ რუხაძე, ნ. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართება საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, 2012, 147

²⁴⁵ Enrico, M. The doctrine(s) of non-recognition: theoretical underpinnings and policy implications in dealing with de facto regimes, 4

²⁴⁶ ILC Commentary, note 10, 250

²⁴⁷ Brownlie, Ian. Brownlie's Principles of Public International Law. Oxford, 8th edition :Oxford University Press, 2012, 442

²⁴⁸ Military and Paramilitary Activities In and Against Nicaragua (Nicaragua v. United States of America); Merits, International Court of Justice (ICJ), 27 June 1986, para:188

²⁴⁹ Wall case, 87

²⁵⁰ Banković and others v. Belgium and 16 other states (Admissibility). App. No. 52207/99, Para:55

ნებისმიერი რელევანტური წესი, რომელიც მიესადაგება მხარეთა შორის ურთიერთობას. შედეგად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაზღვრისას საერთაშორისო სამართლის მამოძრავებელი პრინციპები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. თუმცა, ამავდროულად, უნდა გავითვალისწინოთ კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი ხელშეკრულების, სპეციფიკურობა.²⁵¹ აღნიშნულ ლოგიკაზე დაყრდნობით, *ლოიზიდუს საქმეში* ევროსასამართლომ უდავოდ მიიჩნია რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას არ განიხილავდა სახელმწიფოდ და მისი კონსტიტუცია, როგორც ასეთი, ვერ ჩაითვლებოდა იურიდიული ძალის მქონედ. მეორე მხრივ, *კვიპროსი თურქეთის* სახელმწიფოთაშორისო დავაში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოსთვის (ამ შემთხვევაში თურქეთი) შესაძლებლობის მიცემა - დაცვა ან გამოესწორებინა ადამიანის უფლებათა დარღვევები არ უდრიდა ამ რეჟიმის არაპირდაპირ ლეგიტიმაციას. კერძოდ, სასამართლო წერდა:

„არსებითი მნიშვნელობისაა ის საკითხი, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში მცხოვრებ ადამიანებს, ბერძენი კვიპროსელების ჩათვლით, შეეძლოთ ამგვარი ორგანოებით სარგებლობა და უფლებათა დაცვა, ამასთანავე, თუკი თურქეთი ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში არ დაარსებდა მსგავსი სახის ორგანოებს ეს იქნებოდა კონვენციის სააწინააღმდეგო მოქმედება. ამდენად, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს შეიძლება მოეთხოვებოდეთ არსებული შიდა საშუალებების ამოწურვა თუ ისინი არსებობს და მათ გააჩნიათ ეფექტური ხასიათი.“²⁵²

მოცემულ დავაში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსში არსებობდა საკმარისი „კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები“ იმისათვის, რომ ტრიბუნალი „კანონის საფუძველზე“ შექმნილად მიიჩნეულიყო. სასამართლოს მოსაზრებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე

შიდა ეფექტური საშუალებების „ეფექტურ საშუალებად“ შესაძლო აღიარებას გააჩნია კონკრეტული მიზანი - დაცული იქნეს იქ მცხოვრები ადამიანების უფლებები და აღნიშნული არ ცვლის იმ ფაქტს, რომ კვიპროსის ხელისუფლება მიიჩნევა აღნიშნული ტერიტორიის ერთადერთ სუვერენად.²⁵³ *ფოლკას* საქმეში ევროსასამართლომ იმსჯელა შეიძლებოდა თუ არა ჩრდილოეთ კვიპროსის ხელისუფლების მიერ გამოცემული დაპატიმრების შესახებ ბრძანება ჩათვლილიყო „კანონიერად“ კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისთვის. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „ჩრდილოეთ კვიპროსის ნებისმიერი მოქმედება ხვდებოდა თურქეთის იურისდიქციის და პასუხისმგებლობის ქვეშ. შესაბამისად, აზრი დაეკარგებოდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციაზე პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუკი ჩრდილოეთ კვიპროსის მიერ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა შექმნასა და განხორციელებას თავისთავად არ ექნებოდა ლეგალური ხასიათი და არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო „კანონიერად“ კონვენციის მიზნებისთვის. მიიჩნეეს რა სასამართლო, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის ხელისუფლების მოქმედებები შესაბამისობაში იყო „შიდა კანონმდებლობასთან“ კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისთვის, აპლიკანთა დაკავება შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კანონიერად“.²⁵⁴ საინტერესოა, რომ *ილაშკუს* საქმეში (ე.წ. *დნესტრისპირეთის მოლდოვას რესპუბლიკაზე* მსჯელობისას) სასამართლომ მკვეთრად განსხვავებული მიდგომა განავითარა. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

„დნესტრისპირეთის უზენაესი სასამართლო, რომელმაც დამნაშავედ სცნო ბატონი ილაშკუ, შექმნილია ორგანოების მიერ რომელიც არ არის აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ და მას არ აქვს ლეგალური ხასიათი საერთაშორისო სამართალში. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ დნესტრისპირეთის სასამართლოები მიეკუთვნება სისტემას,

²⁵¹ Loizidu v. Turkey, merits, 43

²⁵² Cyprus v. Turkey [GC], no. 25781/94, Para:98

²⁵³ Cyprus v. Turkey [GC], no. 25781/94, Para: 237

²⁵⁴ Case of Foka v. Turkey, no. 28940/95, 81-84

რომელიც არ ფუნქციონირებს ისეთი სახის კონსტიტუციურ და სამართლებრივ საფუძვლებზე, რომელიც გაიზიარებს კონვენციასთან შესაბამისობაში მყოფ სამართლებრივი ხასიათის ტრადიციებს. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ კონკრეტულ გარემოებებში არცერთი აპლიკანტის დაკავება არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონიერად“. ამასთანავე, მე-6 მუხლის მიზნებისთვის მათი საქმეები არ განხილულა „კანონის საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალის მიერ.“²⁵⁵

ამდენად, როგორც ჩანს, სასამართლო ამ მხრივ ითხოვს, რომ კონსტიტუცია და სხვა სამართლებრივი აქტები ქმნიდეს უფლების დაცვის ისეთ სისტემას, რომელიც შეესაბამება კონვენციის სტანდარტებს. ეს, თავის მხრივ, სასამართლოს აძლევს დისკრეციას, რომ კაზუსტიკურად შეამოწმოს სასამართლო სისტემის ხარისხი, მაგალითად, არის თუ არა პროცესები აშკარად ფორმალური და პირობითი ან პოლიტიკურად მოტივირებული. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მიზნებისათვის, დე ფაქტო ერთეულის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების აღიარება, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ამგვარი დე ფაქტო ერთეულების საერთაშორისო სამართლებრივ ლეგიტიმაციას.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული „უფლების დაცვის საშუალებების“ შეფასებისას, ევროსასამართლომ კონვენციის მთელ რიგ მუხლებთან მიმართებით „ადმინისტრაციული პრაქტიკის“ არსებობა დაადგინა.²⁵⁶ ეს კი ორი ელემენტის არსებობას გულისხმობს: იდენტური ან ანალოგიური დარღვევების არსებობას, რომელსაც მრავალრიცხოვანი და ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემური ხასიათი აქვს და ოფიციალური პირების მხრიდან ამგვარი

ქმედებების შეწყნარებას.²⁵⁷ ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში კი - შიდა საშუალებების ამოწურვა არ არის სავალდებულო. ასეთ შემთხვევაში მას ვერ ექნება ეფექტიანი ხასიათი. საკითხის შეფასებისას, პარალელის სახით, აღნიშვნის ღირსია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოში არსებული სიტუაციის გამოძიების ავტორიზაციაზე, სადაც პროკურატურა აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთს მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიის ნაწილად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს „სახელმწიფოდ“ რომის სტატუტის მე-17 მუხლის მიზნებისთვის. შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ორგანოების მიერ ჩატარებულ გამოძიებას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე სახის მნიშვნელობა კომპლემენტარობის საკითხის გადაწყვეტისას.²⁵⁸

არაღიარების ვალდებულებისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ურთიერთმოქმედების განხილვის შემდეგ, საინტერესოა როგორ ფასდება *de facto* რეჟიმების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თუ გამოცემული აქტები ზოგადი პერსპექტივიდან, როცა ეს არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მოქმედების საკითხთან. შემდეგი თავი სწორედ ამ საკითხს მიეძღვნება. ამ თვალსაზრისით განიხილება ორი ძირითადი საკითხი: როგორი უნდა იყოს ერთი მხრივ, დე ფაქტო რეჟიმებისა და ლეგიტიმური ხელისუფლების, ხოლო მეორე მხრივ, ყველა სხვა მესამე სახელმწიფოს ურთიერთობები.

2.2. დე ფაქტო რეჟიმებისა და ლეგიტიმური ხელისუფლების თანამშრომლობის ფარგლები, არაღიარების ვალდებულების პერსპექტივიდან

²⁵⁵ Ilascu and Others, 436

²⁵⁶ Georgia v. Russia (II), para: 220, 250, 254, 279, 299,

²⁵⁷ France, Norway, Denmark, Sweden and the Netherlands v. Turkey, nos. 9940-9944/82, Commission decision, para:122

²⁵⁸ Corrected Version of “Request for authorisation of an investigation pursuant to article 15”, 16 October 2015, ICC-01/15-4-Corr ICC-01/15-4-Corr2, para: 322

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ლეგიტიმური ხელისუფლება ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ტერიტორიაზე, მას მაინც ეკისრება მისი მოქალაქეების მიმართ პოზიტიური ვალდებულებები. პოზიტიური ვალდებულება გამოხატულია ორ ძირითად კონცეფციაში: 1. სახელმწიფომ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა უზრუნველყოს იქ მცხოვრები პირების უფლებების დაცვა. 2. მან უნდა გააგრძელოს არაღიარების პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული დე ფაქტო რეჟიმების მიმართ და თავი შეიკავოს მისი მხარდაჭერისგან. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ყველა სახის პოლიტიკური, დიპლომატიური თუ სხვა სახის საშუალების გამოყენებას, რათა სახელმწიფომ მუდმივად გააპროტესტოს ტერიტორიათა ოკუპაცია. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სახელმწიფოს ეკისრება თუ არა ვალდებულება - ითანამშრომლოს დე ფაქტო რეჟიმებთან იმ მიზნით, რომ დაიცვას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქალაქეთა უფლებები.

ევროსასამართლომ ჩამოაყალიბა ზოგადი მიდგომა, რომლის თანახმადაც, არაოფიციალური ურთიერთობების არსებობა დე ფაქტო რეჟიმსა და ლეგიტიმურ სახელმწიფოს შორის, მისი შეზღუდული ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სეპარატისტული რეჟიმის მხარდაჭერად.²⁵⁹ ამ საქმეში ევროსასამართლომ ძირითადი აქცენტი ლეგიტიმურ ხელისუფლებასა და დე ფაქტო რეჟიმს შორის უბრალო საპოლიციო თანამშრომლობაზე გააკეთა, თუმცა შეთანხმებები ეხებოდა მათ შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას, ურთიერთობას მოლდოვისა და დნესტრისპირეთის მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტს შორის. ასევე, მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო თანამშრომლობა სხვა სფეროებშიც, როგორც არის საჭაერო მარშრუტების კონტროლი, სატელეფონო კავშირები და სპორტი.²⁶⁰ სასამართლო დაეთანხმა მოლდოვის რესპუბლიკის ადმინისტრაციას იმასთან დაკავშირებით, რომ შეთანხმებები ხორციელდებოდა დნესტრისპირეთში

მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნითა და ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობის მიცემით. ევროსასამართლომ აგრეთვე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქმეზე *გუზულურტუ და სხვები კვიპროსისა და თურქეთის წინააღმდეგ*. საქმე ეხებოდა კვიპროსში ჩადენილ სამი ადამიანის მკვლელობას. დამნაშავეებმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავი ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას შეაფარეს. კვიპროსმა დე ფაქტო რეჟიმისთვის მტკიცებულებათა გადაცემაზე უარი განაცხადა. იგი უთითებდა, რომ ეს დაარღვევდა დე ფაქტო რეჟიმის არაღიარების ვალდებულებას. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში კვიპროსის მიერ პოზიტიური ვალდებულების დარღვევა არ დაადგინა და აღნიშნა:

„სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად რომ აღნიშნული საქმის განხილვისას შეეხოს დე ფაქტო რეჟიმებსა და ლეგიტიმურ ხელისუფლებასა შორის თანამშრომლობის ზოგად კანონიერებას საერთაშორისო სამართლის საფუძვლებზე, ამდენად იგი მხოლოდ ამ საქმეში არსებულ კონკრეტულ შემთხვევას განიხილავს. ამ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულებათა გადაცემა კვიპროსის მიერ გაუთანაბრებოდა იურისდიქციის დათმობას სუვერენულ ტერიტორიაზე არსებული არაღიარებული სუბიექტის სასარგებლოდ და აღნიშნული ბევრად უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე პროკურორებსა თუ პოლიციურ ძალებს შორის უბრალო თანამშრომლობა. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის არსებობა წარმოადგენს სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაწილს. ამდენად, სასამართლო დაეთანხმა კვიპროსის ხელისუფლებას იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის მასალების გადაცემით იგი დაუთმობდა იურისდიქციას დე ფაქტო რეჟიმის სასამართლო ხელისუფლებას, რაც არაღიარების ვალდებულებასთან მიმართებით მნიშვნელოვან კითხვებს გააჩენდა.“²⁶¹

²⁵⁹ Ilascu and Others, 345

²⁶⁰ იქვე,

²⁶¹ Case of Guzulurtu and Others v. Cyprus and Turkey, (Application no. 36925/07), 253-255

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ თუკი ლეგიტიმურ ხელისუფლებასა და დე ფაქტო რეჟიმს შორის არსებობს *შეზღუდული ხასიათის* თანამშრომლობა, რომლის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებათა დაცვა, ეს ხელს არ უშლის არაღიარების ვალდებულებას და არ ნიშნავს დე ფაქტო რეჟიმის მხარდაჭერასა თუ ლეგიტიმაციას. ამასთან, საინტერესოა როგორ უნდა შეფასდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაფუძნებული ორგანოებისა და მათ მიერ განხორციელებული ქმედებების/გამოცემული აქტების კანონიერება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

3. ნამიბიის გამონაკლისი

3.2. ნამიბიის გამონაკლისი და მისი *შეზღუდული ხასიათი*

1970 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ საკონსულტაციო დასკვნის გამოცემის მოთხოვნით მიმართა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს. საკითხი ეხებოდა *სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის განგრძობადი ყოფნის სამართლებრივ შედეგებს ნამიბიაში, მიუხედავად უშიშროების საბჭოს 276-ე რეზოლუციის გამოცემისა*. სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლოს მოუწია მსჯელობა ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის ეფექტური კონტროლის ქვეშ გამოცემული სამართლებრივი აქტების ლეგალურ ბუნებაზე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სამხრეთ აფრიკის სამხედრო შენაერთების კვლავ ყოფნა ნამიბიაში საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა და იგი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გამოეყვანა ნამიბიის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო შენაერთები. ამასთან, აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ეკისრებოდა საერთაშორისო პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფასა და შესაძლო დარღვევებზე ნამიბიის ტერიტორიაზე. სასამართლომ განავითარა მსჯელობა, რომლის მიხედვითაც ყველა სხვა სახელმწიფო ვალდებული იყო თავი შეეკავებინა ნამიბიის ტერიტორიაზე

სამხრეთ აფრიკის სუვერენული ხელისუფლების აღიარებისა და მასთან დიპლომატიური, ეკონომიკური ან სახელმწიფო ურთიერთობის დამყარებისგან. თუმცა, მიეთითა, რომ არაღიარების ვალდებულებას შედეგად არ უნდა გამოეწვია ნამიბიაში მცხოვრები ადამიანებისთვის სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობისგან მომდინარე გარკვეული სახის უპირატესობების წართმევა. კერძოდ, მართალია მესამე სახელმწიფოებს სამხრეთ აფრიკის კონტროლის ქვეშ გამოცემული „ოფიციალური დოკუმენტები“ უნდა მიეჩნიათ სამართლებრივი ძალის არმქონედ, თუმცა არაღიარების პოლიტიკა არ შეიძლება გაგრძელებულიყო ისეთ დოკუმენტაციაზე, რომელიც ეხებოდა *დაბადების, გარდაცვალების ან ქორწინების აღრიცხვიანობას* და გამოცემული იყო სამხრეთ აფრიკის ეფექტური კონტროლის ქვეშ. ამ დოკუმენტაციის სამართლებრივი ძალის უარყოფა მხოლოდ დამაზიანებელი შეიძლება ყოფილიყო იქ მცხოვრები ადამიანებისათვის.²⁶²

საკონსულტაციო დასკვნას თან ერთვის მოსამართლე დილარდის, მოსამართლე დეკასტროსა და მოსამართლე ონიემას განცალკევებულ მოსაზრებები. მოსამართლე *დილარდმა* აღნიშნა, რომ იურიდიული მაქსიმა: „*ex injuria jus non oritur*“ („სამართალს ვერ შობს უსამართლობა“) ანუ სამართალს ვერ ქმნის უსამართლო სამართლებრივი აქტები, არ იყო აბსოლუტური მოცემულობა. მოსამართლის თქმით, ეს მოსაზრება ფაქტობრივად გაიზიარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა, როცა მოსამართლის მიერ დასმულ კითხვაზე უპასუხა რომ „გენერალური მდივანი არ მიიჩნევდა, რომ მისი პოზიცია გამოხატავდა ამგვარი აქტების „აბსოლუტური ბათილობის“ დოქტრინას. მოსამართლე *დილარდი* მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომლის თანახმადაც წინასწარ შეუძლებელი იყო განსაზღვრულიყო კონკრეტული აქტები, რომელთა აღიარებაც შეიძლება ნამიბიაში სამხრეთ აფრიკის უკანონო ყოფნასთან მოსულიყო ან არ

²⁶² Advisory Opinion on the Legal Consequences for States of the Continued Presence of South

Africa in Namibia, International Court of Justice (ICJ), 125

მოსულიყო შესაბამისობაში. იმდენად რამდენადაც, ეს დამოკიდებული იქნებოდა მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, არა მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ინტერესებზე, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ, არამედ ნამიბიის მაცხოვრებელთა უახლოეს და სამომავლო კეთილდღეობაზეც.²⁶³ მოსამართლე დე კასტრომ წარმოაჩინა განსხვავებები ნამიბიის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მიღებულ საჯარო სექტორთან დაკავშირებულ აქტებსა და კერძო პირთა აქტებსა და უფლებებს შორის. მისი თქმით, ეს უკანასკნელი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჩათვლილიყო ვალიდურად (დოკუმენტა ვალიდურობა სამოქალაქო რეესტრში, და მიწის რეესტრში, ქორწინებათა ვალიდურობა, და სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოების გადაწყვეტილებათა ვალიდურობა).²⁶⁴ მოსამართლე ონიეამა გააკრიტიკა ძირითადი დასკვნა „ოფიციალური დოკუმენტების“ არაღიარების ნაწილში და მიიჩნია, რომ მიუხედავად მესამე სახელმწიფოს ვალდებულებისა - არ ეცნოთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფნა ნამიბიაში, ეს ვალდებულება სავალდებულოდ არ ვრცელდებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ ნამიბიის ხელისუფლების სახელით მიღებული აქტების ცნობაზე უარის გაცხადებაზე. განურჩევლად სამხრეთ აფრიკული მმართველობის უკანონო ხასიათისა, ის მაინც წარმოადგენდა ამ ტერიტორიაზე დე ფაქტო ხელისუფლების დამფუძნებელ ფაქტს.²⁶⁵

როგორც ჩანს, ნამიბიის საქმეში სასამართლომ ჩამოაყალიბა ე.წ. ნამიბიის გამონაკლისის დოქტრინა, რომლის მიხედვითაც არაღიარების პოლიტიკა არ შეიძლება გავრცელდეს ისეთ დოკუმენტაციაზე, რომელიც ეხება დაბადების, გარდაცვალების ან ქორწინების აღრიცხვიანობას - მისი დამაზიანებელი ეფექტიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თუ რა დათქმას შეიცავს საქართველოს კანონი

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე „უკანონოა ნებისმიერი ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც შექმნილი (დანიშნული/არჩეული) არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და რაიმე ფორმით ფაქტობრივად ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან სასამართლო ფუნქციებს ან სხვა საქმიანობას, რაც მიეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციებს“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების მიერ გამოცემული ნებისმიერი აქტი არარად ითვლება და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული აქტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილება საქართველოს მოქალაქეობის დადგენის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის, დაბადების, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) პირის ლეგიტიმურად ცხოვრების ფაქტის დადგენისა და მისი რეგისტრაციის მიზნებისათვის“.²⁶⁶ შესაბამისად, აღნიშნული მოწესრიგება, გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, მთლიანად იზიარებს ნამიბიის გამონაკლისის საქმეში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს. მოსამართლეთა განცალკევებული აზრისა და თანამედროვე რეალობაში საკითხის აქტუალობის გამო, ნაშრომის შემდგომი ქვეთავი მიემდვნება ე.წ. ნამიბიის გამონაკლისის გაფართოების შესაძლებლობისა და ამ მხრივ საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვას.

²⁶³ Namibia Case, Separate Opinion of judge Dillard, page:155

²⁶⁴ Namibia Case, Separate Opinion of judge De Castro, page:207

²⁶⁵ Namibia Case, Separate Opinion of judge Onyeama, page:137

²⁶⁶ საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, სსმ, 28, 30/10/2008, მუხლი 8

ასევე, იმის ანალიზს, თუ რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ამ საკითხის აქტუალიზაცია.

3.3. ნამიბიის გამოწვევის შესაძლებლობა

ნაშრომის ამ ნაწილში განიხილება ოკუპირებულ/ეფექტური კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე მიმდინარე სავაჭრო და სახელშეკრულებო ურთიერთობების კანონიერების საკითხი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აქვს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს. *სერთიფიკატების საქმეში* სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტის პროცედურის ფარგლებში განიხილა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკიდან დიდ ბრიტანეთში იმპორტირებული საქონელისა და ფიტოსანიტარული სერთიფიკატების კანონიერების საკითხი.²⁶⁷ ამ თვალსაზრისით, სასამართლოს წინაშე მთავარი კითხვა იყო: მაშინ, როდესაც ასეთი სერთიფიკატები გამოცემულია არაუფლებამოსილი პირების მიერ, ავალდებულებს თუ არა ევროკავშირის სამართალი წევრ სახელმწიფოებს ა) არ დაუშვან საქონლის ამგვარი იმპორტი ბ) მიიღოს დე ფაქტო რეჟიმის მიერ გამოცემული სერთიფიკატები.

ამ საქმეში, დიდი ბრიტანეთისა და კომისიის პოზიციის მიხედვით, ჩვეულებრივ სიტუაციებში ამგვარი პრაქტიკა უნდა ჩაითვალოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ, თუმცა კვიპროსში არსებული განსაკუთრებული სიტუაციის გათვალისწინებით, შესაბამისი დირექტივები უნდა განიმარტოს ისე, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ მიიღოს ისეთი სერთიფიკატებიც, რომლებიც ეხება საქონლის კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილიდან იმპორტირებას და გამოცემულია არაუფლებამოსილი პირების მიერ. სხვაგვარი გადაწყვეტა იქნებოდა დისკრიმინაციული კვიპროსის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები მოქალაქეებისა და კომპანიების მიმართ. ამასთან, კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები ექსპორტიორებისთვის

პრაქტიკულად შეუძლებელია, ან სულ მცირე ძალიან ძნელია, მოიპოვენ სხვა სერთიფიკატი, გარდა იმ სერთიფიკატებისა, რომელიც გამოცემულია თურქული საზოგადოების მიერ კუნძულის ამ ნაწილში. ამდენად, ასოცირების შეთანხმება უნდა ვრცელდებოდეს კვიპროსის მთელ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ ნაწილის ჩათვლით.²⁶⁸ ამგვარი გადაწყვეტილება უზრალოდ წარმოაჩენს კვიპროსის მთელი მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინების აუცილებლობას. პოზიცია ეყრდნობოდა *ნამიბიის საქმეზე* ჩამოყალიბებულ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც არაღიარების ვალდებულებამ შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის გარკვეული სახის უპირატესობების წართმევა, რომელიც შესაძლოა მომდინარეობდეს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობისგან.²⁶⁹ ევროკავშირის სასამართლომ კომისიისა და დიდი ბრიტანეთის არგუმენტები არ გაიზიარა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქონლის იმპორტიორის მიერ ექსპორტიორი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების გამოცემული სერთიფიკატების აღიარება ასახავს მათ სრულ ურთიერთნდობას პროდუქციის წარმოშობის შემოწმების სიტემის მიმართ. ეს აგრეთვე ნიშნავს შემდეგს: იმპორტიორ სახელმწიფოს ეჭვი არ ეპარება, რომ საქონლის შემდგომი გადამოწმება, კონსულტაცია და ნებისმიერი დავის გადაწყვეტა პროდუქციის წარმოშობასთან ან თაღლითობის არსებობასთან დაკავშირებით ეფექტიანად განხორციელდება წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოების თანამშრომლობით. ამგვარი თანამშრომლობა კი გამორიცხულია იმ სუბიექტის ხელისუფლებასთან, რომელიც არ არის აღიარებული არც გაერთიანების და არც წევრი სახელმწიფოების მიერ. ასოცირების შეთანხმების ერთგვაროვანი გამოყენება არის უმნიშვნელოვანესი მიზანი. ამ თვალსაზრისით, დისკრიმინაციის აკრძალვამ არ შეიძლება გამოიწვიოს გადახვევა ამ შეთანხმების ფუნდამენტური მნიშვნელობის

²⁶⁷ R v. Minister of Agriculture, Fisheries and Food, ex parte S. P. Anastasiou (Pissouri) Ltd and Others, C-432/92, ECJ, Judgment

²⁶⁸ Case of Anastasiou, 19-20

²⁶⁹ იქვე, 34-35

წესებიდან. ევროკავშირის სასამართლომ *ნამიბიის საქმესთან* დაკავშირებით განაცხადა, რომ სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით ნამიბიისა და ჩრდილოეთ კვიპროსის განსაკუთრებული სიტუაცია არ არის შედარებადი.²⁷⁰ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირის სასამართლომ მიიჩნია რომ შესაბამისი დირექტივები უნდა განიმარტოს ისე რომ წევრმა სახელმწიფოებმა არ დაუშვან ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის მიერ საქონლის გადაადგილებისა და გამოცემული ფიტოსანიტარული სერტიფიკატების აღიარება.

კიდევ ერთი გამორჩეული საქმე უკავშირდება ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში ბრიტანელის წყვილის *ორამსების* მიერ საკუთრების შეძენის კანონიერების საკითხს.²⁷¹ მას შემდეგ, რაც იძულებით გადაადგილებული კვიპროსელისთვის ცნობილი გახდა ფაქტი, რომ მისი საკუთრება კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში ბრიტანელმა წყვილმა შეიძინა, მან სარჩელი შეიტანა ნიქოსიას საქალაქო სასამართლოში, კვიპროსში. სასამართლომ დააკმაყოფილა *აპოსდოლიდესის* სარჩელი და *ორამსებს* ტერიტორიის დატოვება და ზიანის ანაზღაურება დაავალა. ეფექტური კონტროლის არარსებობის გამო კვიპროსის მხრიდან ეს გადაწყვეტილება ვერ აღსრულდებოდა, თუმცა ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმს სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში, სწორედ ამ მექანიზმს მიმართეს ამ საქმეშიც - ბრიტანულ სასამართლოების მეშვეობით.²⁷² ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლომ საქმის წინასწარი გადაწყვეტის პროცედურის ფარგლებში მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს. *აპოსდოლიდესი ორამსების წინააღმდეგ* საქმეში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა, რომ „წევრ სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება

უარი თქვან იმ სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე, რომელიც გამოცემულია წევრი სახელმწიფოს იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც იგი ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს“. ²⁷³ შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მსჯელობის თანახმად, სამომავლოდ, ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც დადებულია კვიპროსის ოკუპირებულ ნაწილში შეიძლება გაუქმდეს კვიპროსის სასამართლო ორგანოების მიერ და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული იქნებიან არა მხოლოდ სცნონ, არამედ აღასრულონ კიდევ ეს გადაწყვეტილება.²⁷⁴

ამ თვალსაზრისით, მართალია ორივე გადაწყვეტილება ევროკავშირის სამართალს ეყრდნობა და მნიშვნელოვანი არგუმენტები სწორედ ევროკავშირის სამართლის ჯეროვანი და სწორი გამოყენებიდან მომდინარეობს, თუმცა ეს იმავდროულად ნიშნავს რომ ევროკავშირის კანონმდებლობა იზიარებს საერთაშორისო სამართლის იმ მნიშვნელოვან წესებს, რომლებიც არაღიარების ვალდებულებებთან არის დაკავშირებული. თუმცა, მეორე მხრივ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის საერთაშორისო თანამშრომლობიდან მომდინარე უპირატესობის წართმევა მნიშვნელოვან კონტრ - არგუმენტად რჩება. ეს საკითხი რელევანტური *სერტიფიკატების საქმეში* იყო. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სასამართლოს ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხი არ გაუცია, თუმცა არაუფლებამოსილ ხელისუფლებასთან ურთიერთნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის დაუშვებლობის არგუმენტი გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მაინც იძლევა.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი ეხებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული უფლების დაცვის

²⁷⁰ Case of Anastasiou, 38-49,

²⁷¹ Case of C-420/07, Meletis, Apostolides v. David Charles Orams, Linda Elizabeth Orams, GC, judgment

²⁷² Regulation No 44/2001

²⁷³ Case of Apostolides 61-71

²⁷⁴ ფიფია, ს. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, 2016, 102

საშუალებების ლეგალურ ხასიათს. კვლევის მიზნებისთვის განხილული იყო *de facto* რეჟიმების მეშვეობით დამყარებული ოკუპაციის შემთხვევები. ამ კუთხით, საკითხი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის გადმოსახედიდან შეფასდა.

ნაშრომის პირველ ნაწილში გაანალიზდა „ოკუპაციისა“ და „ეფექტური კონტროლის“ ცნებები. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან მომდინარე პასუხისმგებლობა მხოლოდ „ოკუპაციის“ არსებობაზე არ არის დამოკიდებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრეცედენტულ სამართალში იყენებს *ეფექტური კონტროლის* ტესტს, რომელიც ფართო ცნებაა და არ არის დამოკიდებული „ოკუპაციის“ ჰუმანიტარული სამართლიდან მომდინარე მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლო თავს არიდებს ჰუმანიტარული სამართლის ტერმინების გამოყენებას და ამ კუთხით გარკვეულ ბუნდოვანებას მატებს საკითხებს, მის მიერ არჩეული მიდგომა უფლებათა დაცვის ეფექტურ მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს.

ამავე თავში იყო მსჯელობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებათა ექსტრა ტერიტორიული მოქმედებიდან მომდინარე პასუხისმგებლობაზე. ნაშრომის ამ ნაწილში დადგინდა, რომ დე ფაქტო რეჟიმების მეშვეობით დამყარებული ოკუპაციის შემთხვევებში, არ არის აუცილებელი სახელმწიფო მარიონეტულ რეჟიმზე დეტალურ კონტროლს ახორციელებდეს და მნიშვნელოვანი სამხედრო ან/და ფინანსური დახმარების ფაქტი საკმარისად ითვლება.

ნაშრომის შემდეგი ნაწილი საერთაშორისო საჯარო სამართალში არსებული არაღიარების ვალდებულების ფარგლებს ეხებოდა. არაღიარების ვალდებულება მომდინარეობს სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის დამდგენი აქტიდან და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შეფასებით - ჩვეულებითი სამართლის ნაწილია. ამგვარი ვალდებულება ვრცელდება საერთაშორისო

სამართლის სერიოზული დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციების აღიარების დაუშვებლობასა და უკანონო ხელისუფლებასთან ყოველგვარი ოფიციალური, დიპლომატიური თუ ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისგან თავის შეკავებაზე. ამასთან, ნაშრომში არაღიარების ვალდებულება სამი ძირითადი მიმართულებით შეფასდა: 1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების პერსპექტივიდან; 2. ოკუპირებული ტერიტორიის მშობელი სახელმწიფოს (Parent State) პოზიტიური ვალდებულებებიდან გამომდინარე; და 3. ყველა სხვა მესამე სახელმწიფოს / საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამგვარი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, გამოსაყოფია ევროპული კონვენცია. ევროსასამართლომ აღნიშნა რომ *de facto* რეჟიმების მიერ განხორციელებულ ყველა ქმედებაზე პასუხისმგებლობა ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ სახელმწიფოს ეკისრება. სწორედ ამიტომ, ამ ტერიტორიაზე მის მიერ შექმნილი სასამართლო თუ ადმინისტრაციული ორგანოები კონვენციის მიზნიდან გამომდინარე შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კანონიერად“, თუკი იგი იზიარებს კონვენციაში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა აძლევს სახელმწიფოებს შესაძლებლობას გამოასწორონ შესაძლო დარღვევები ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ/ოკუპირებულ ტერიტორიაზე. სხვაგვარი დაშვება კონვენციის მოქმედებას ამგვარ ტერიტორიებზე შეუძლებელს გახდიდა. შესაბამისად, ამ ვითარებაში დაარსებული ორგანოები შეიძლება მიჩნეულ იქნეს „უფლების დაცვის საშუალებებად“ - უშუალოდ კონვენციის მიზნებისთვის. აღნიშნული კი არცერთ გზის არ უდრის *de facto* რეჟიმების ლეგიტიმაციას.

რაც შეეხება არაღიარების ვალდებულებას მშობელი სახელმწიფოს (Parent State) პერსპექტივიდან, ამ შემთხვევაში

არადიარების ვალდებულება არ არის აბსოლუტური და დასაშვებია *de facto* რეჟიმებთან შეზღუდული ხასიათის თანამშრომლობა, თუ იგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მისი მოქალაქეების კეთილდღეობას ისახავს მიზნად. თუმცა, ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ გარკვეული სახის სიფრთხილე ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა გამოიჩინოს.

კვლევის ბოლო და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო არადიარების ვალდებულების ფარგლები მესამე სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაში. ნაშრომის ამ ნაწილში ძირითადი აქცენტი გაკეთდა *ნამიბიის გამონაკლისის* დოქტრინაზე, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე არაუფლებამოსილ ხელისუფლებასთან დიპლომატიური, ეკონომიკური, და სახელმწიფოებო ურთიერთობის დამყარება, მათი ოფიციალური დოკუმენტების ცნობა, თუმცა არადიარების ვალდებულებამ შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის გარკვეული სახის უპირატესობების წართმევა, რომლებიც შესაძლოა მომდინარეობდეს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობისგან. ამ თვალსაზრისით, არადიარების ვალდებულება არ ვრცელდება *დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების აღრიცხვიანობის* დოკუმენტაციაზე.

ნამიბიის საქმეში გამოთქმული განცალკევებული მოსაზრებებისა და საკითხის აქტუალიზაციიდან გამომდინარე, ბოლო ქვეთავი ეძღვნებოდა *ნამიბიის გამონაკლისის* გაფართოების შესაძლებლობას. ამ ნაწილში შეფასდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლითაც გაერთიანებამ უარი თქვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ არაუფლებამოსილ ხელისუფლებასთან ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებაზე და მეტიც, დაადგინა, რომ ევროკავშირის ფარგლებში, თუკი ლეგიტიმური ხელისუფლება მის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დადებულ

ნებისმიერი სახის კონტრაქტს გაუქმებულად გამოაცხადებს, ყველა სხვა წევრი სახელმწიფო ვალდებული იქნება სცნოს და აღასრულოს ეს გადაწყვეტილება.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, სსმ, 28, 30/10/2008;
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 ;
3. საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; 1966
4. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 ;
5. Convention (IV) respecting the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 18 October 1907
6. Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts ; 2001;
7. EU Regulation No 44/2001.
8. რუხაძე, ნ. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: სამოქალაქო მართლმსაჯულების იურისდიქციისგან სახელმწიფო იმუნიტეტის პრინციპისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართება საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, 2012 ;
9. ფიფია, ს. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, 2016 ;
10. Benvenisti E, The International Law of Occupation, Second Edition , Oxford University Press, 2012 ;
11. Brownlie, Ian. Brownlie's Principles of Public International Law. Oxford, 8th edition :Oxford University Press, 2012 ;
12. Dinstein Y. Non-International Armed Conflicts in International Law, Cambridge University Press, 2014 ;
13. Enrico, M. The doctrine(s) of non-recognition: theoretical underpinnings and policy implications in dealing with de facto regimes, 2020 ;

14. Ferraro, T. 'Determining the Beginning and End of an Occupation Under International Humanitarian Law', 885 International Review of the Red Cross (2015) ;
15. ILC Commentary, note 10 ;
16. International Humanitarian Law and International Human Rights Law: Towards a New Merger in International Law. Edited By Roberta Arnold and Noëlle Quéniver Leiden, Boston: Martinus Nijhoff Publishers, 2008 ;
17. Kalandarishvili-Mueller, N. Occupation and Control in International Humanitarian Law, Routledge, 2021;
18. Sassòli, M. 'The Concept and the Beginning of Occupation', in A. Clapham, P. Gaeta, and M. Sassòli (eds.), The 1949 Geneva Conventions: A Commentary (Oxford: Oxford University Press, 2015) ;
19. The Doctrine of Jurisdiction in International Law", Mann, States" and Edition 1995, Vol. 2, "Dupuy, Droit International Public, 4th Edition 1998 ;
20. Case of Georgia v. Russia (II) (Application no. 38263/08), 2021 ;
21. Case of Guzurltu and Others v. Cyprus and Turkey, (Application no. 36925/07), 2019 ;
22. Case of Chiragov and Others v. Armenia ,(Application no. 13216/05), 2015 ;
23. Case of Cyprus v. Turkey (Application no. 25781/94) Judgment, 2014 ;
24. Case of Catan and Others v. Moldova and Russia (Applications nos. 43370/04, 8252/05 and 18454/06), 2012 ;
25. Case of Foka v. Turkey, no. 28940/95, 2009 ;
26. Case of Al-Skeini and Others v. The United Kingdom (Application no. 55721/07), 2008 ;
27. Case of Ilascu and Others v. Moldova and Russia, (განაცხადი 48787/99), 2004 ;
28. Case of Banković and others v. Belgium and 16 other states (Admissibility). App.No. 52207/99), 2001 ;
29. Case of Loizidu v. Turkey (Preliminary Objections) (Application no. 15318/89) Judgment, 1996 ;
30. France, Norway, Denmark, Sweden and the Netherlands v. Turkey, nos. 9940-9944/82, Commission decision ;
31. Armed Activities on the Territory of the Congo, Congo, the Democratic Republic of the v Uganda, Judgment, Merits , (ICJ) 2005 ;
32. Advisory Opinion Concerning Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, International Court of Justice (ICJ), 2004 ;
33. Military and Paramilitary Activities In and Against Nicaragua (Nicaragua v. United States of America); Merits, International Court of Justice (ICJ), 27 June 1986 ;
34. Advisory Opinion on the Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia, International Court of Justice (ICJ), 1971 ;
35. Namibia Case, Separate Opinion of judge Dillard , Onyeama , and De Castro, 1971 ;
36. Case of C-420/07, Meletis, Apostolides v. David Charles Orams, Linda Elizabeth Orams, GC, judgment, 2009 ;
37. Case of R v. Minister of Agriculture, Fisheries and Food, ex parte S. P. Anastasiou (Pissouri) Ltd and Others, C-432/92, ECJ, Judgment, 1994 ;
38. Prosecutor's application pursuant to article 58 for warrants of arrest against Mikhail MINDZAEV, Gamlet GUCHMAZOV and David SANAKOEV", 10 March 2022, ICC-01/15-34-Conf-Exp, ICC-01/15-34-Red, 2022 ;
39. Corrected Version of "Request for authorisation of an investigation pursuant to article 15", 16 October 2015, ICC-01/15-4-Corr ICC-01/15-4-Corr2 , 2015 ;
40. Prosecutor v. Mladen Naletilic, IT-98-34-T, International Criminal Tribunal for the former Yugoslavia (ICTY), 31 March 2003;
41. Hostages Trial, supra, n.140.